<u>არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი</u>

ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეები ტრადიციულად აგრძელებენ ნაყოფიერ შემოქმედე-ბით მუშაობას. 2023 წლის განმავლობაში მათ დაიმსახურეს უამრავი სიგელები და ჯილდოები.

2023 წლის ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეთა ნუსხა:

1).**<u>07.01.2023წ</u>** ფოთში საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, საახალწლო-საშობაო ღონისძიება გაიმართა. ამ მიმზიდველ და ხალისიან არტ-აქტივობაში, როგორც ყოველთვის, მონაწილეობდა არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილების ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი **„პირიმზე**'' (ხელმძღვანელი, პედაგოგი გია გურგენაძე). ,,პირიმზეს'' ბიჭუნათა კვარტეტმა გახსნა ადგილობრივ შემოქმედებით ჯგუფთა კონცერტი. პედაგოგთან ერთად, კვარტეტმა ვირტუოზულად შეასრულა ქართული ხალხური მელოდიები და კომპოზიციები ფანდურის, დოლისა და სალამურის თანხლებით, რითაც მოზეიმე თანატოლებსა და საზოგადოებას შობა-ახალი წელი მიულოცა.

2).**<u>07.03.2023წ</u>** არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელმა მრავალფეროვანი და შემოქმედებითად ნაყოფიერი აქტივობით აღნიშნა ***დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე.*** სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად მოიყარეს მშობლებმა ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებმა. კონცერტი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ერთმანეთისგან ვერ გამოვარჩევთ განყოფილებებისა და მიმართულებების, ანსამბლებისა და ჯგუფების განსაკუთრებულად მონდომებულ გამოსვლებს. შეკრებილ ქალბატონებს დედის დღე და რვა მარტი მოულოცა პედაგოგმა და მუსიკოსმა, ბადრი დოლბაიამ. პროგრამაში მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით წარმოადგენს საკუთარი საკონცერტო რეპერტუარები: საფორტეპიანო, სავიოლინო, ვოკალური, ხალხურ საკრავთა, საესტრადო, სამეჯლისო და ჰიპ-ჰოპის განყოფილებებმა.

საყურადღებოა ერთი სადღესასწაულო გარემოება, რომ აღნიშნულ აქტივობაში გულმხურვალედ ჩაერთო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ჩიხაძე გიორგი (პედაგოგ ელენა მენჩიკოვას კლასი), რომელმაც თავისი საფორტეპიანო იმპროვიზაციებით დაამშვენა საზეიმო ატმოსფერო და კონცერტზე შეკრებილი საზოგადოების მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა.

3).**<u>07.05.2023წ</u>** მორიგ შემოქმედებით წარმატებას მიაღწია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის კლასიკური ცეკვისა და ბალეტის განყოფილებამ. განყოფილების ხელმძღვანელი და პედაგოგი ირინა კუპრავა და სასწავლებლის მოცეკვავე გოგონები, კვირას მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და მსოფლიო ხალხთა ცეკვის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალში - **,,ბროლის ცერი“.** ფესტივალის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი. ამ მნიშვნელოვან არტ-ასპარეზობაზე ჩინებულად გამოვიდნენ ფოთელი ნორჩი ბალერინები, რომლებმაც უნაკლოდ და მიმზიდველად შეასრულეს 5საფესტივალო ნომერი.

მორიგ შემოქმედებით წარმატებას მიაღწია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის კლასიკური ცეკვისა და ბალეტის განყოფილებამ. განყოფილების ხელმძღვანელი და პედაგოგი ირინა კუპრავა და სასწავლებლის მოცეკვავე გოგონები, კვირას, 7 მაისს, მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ ***ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური*** და ***მსოფლიო ხალხთა ცეკვის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალში*** - **,,ბროლის ცერი"**. ფესტივალის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი. ამ მნიშვნელოვან არტ-ასპარეზობაზე ჩინებულად გამოვიდნენ ფოთელი ნორჩი ბალერინები, რომელმაც უნაკლოდ და მიმზიდველად შეასრულეს 5 საფესტივალო ნომერი. ფოთელ გოგონებსა და მათ ხელმძღვანელს ირინა კუპრავას აქტიური მონაწილეობისა და საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის, ჟიურიმ **ლაურეატის წოდება მიანიჭა და დიპლომები,** ასევე, **,,ბროლის ცერის" მონაწილის საპატიო ემბლემა** გადასცა. მაღალი პროფესიული ოსტატობისა და წარმატებული შემოქმედებითი მუშაობისათვის შემოქმედთა კავშირის ***საპატიო სიგელი*** გადაეცა პედაგოგ ირინა კუპრავას. მასზე ჟიურის წევრმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა დავით გუამ (ბაძაღუა) ნიშნად წარმატებისა და მაღალი პროფესიონალიზმისა, საკუთარი ნახატი უსახსოვრა.

განსაკუთრებული ინტერესი ხვდა წილად აზიურ გარმონზე შესრულებულ ,,აჭარულ სატრფიალოს“. ,,პირიმზეს“ ამ კონცერტმა დამსახურებულად მიიღო აღნიშნული სოციალური ფენის მოწონება და მადლიერება.

4).**<u>07.04.2023წ</u>** მამულისათვის დაღუპულთა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს - 9 აპრილს მიეძღვნა კლასიკური მუსიკისა და ქორეოგრაფიის კონცერტი, რომელიც ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა გამართეს სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში. კონცერტი შესავალი სიტყვით გახსნა და 9 აპრილის ისტორიულ და ეროვნულ მნიშვნელობაზე ისაუბრა სასწავლებლის დირექტორმა ლია ეჯიბიამ. უნდა ითქვას, რომ სასწავლებლის დარბაზში საკმაო ხანი ასეთი დონის, ჟანრობრივად მრავალფეროვანი და ხანგრძლივი აქტივობა არ ჩატარებულა, რამაც ბოლო პერიოდში პედაგოგთა ნაყოფიერ მუშაობასა და მოსწავლეთა მოტივაციას გაუსვა ხაზი. საფორტეპიანო განყოფილების თითქმის ყველა პედაგოგის კლასის აღასზრდელებმა მონდომებით შეასრულეს ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა საფორტეპიანო ნაწარმოებები, მათ არც ვოკალისა და საგუნდო განყოფილებების მოსწავლეები ჩამორჩენილან, შესრულდა პატრიოტულ მოტივზე შექმნილი საგუნდო და სოლო სიმღერები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასიკური ბალეტის განყოფილების პედაგოგის ირინა კუპრავასა და კონცერტმაისტერ ირინა მოროზოვას მოწადინება და ნორჩი ბალერინების ჩინებული გამოსვლა სცენაზე, რადგან სამწლიანი პანდემიური და სხვა ობიექტური შეზღუდვების შემდეგ, სასწავლებლის საბალეტო სექტორმა აჩვენა შემოქმედებითი წინსვლა. შესრულდა ხუთი საბალეტო ნომერი. მთლიანად კონცერტზე 30-მდე არტნომერი წარმოდგინდა, რამაც დამსწრე საზოგადოების გულწრფელი მოწონება და ქება დაიმსახურა. დასასრულს სასწავლებლის დირექტორმა ქალბატონმა ლია ეჯიბიამ მადლობა გადაუხადა ყველა მოსწავლესა და პედაგოგს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისა და შთამბეჭდავი აქტივობისათვის.

5).**28.04.2023წ** ქალაქ ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის საესტრადო განყოფილების გოსპელ გუნდმა ,,Voc-AID" და ანსამბლი ,,Black Sea KIDS"-ის წევრებმა გადაიღეს ვიდეოკლიპი, სადაც ასრულებენ მსოფლიო ჰიტებს! კლიპში მონაწილეობს ამავე სასწავლებლის და ანსამბლის კურსდამთავრებული და უკვე ანსამბლის პედაგოგი, წარმატებული ბენდის ,,GoodFellas" -ის სოლისტი ლიზა წულაია! ვიდეოს ავტორია მომღერალი, ვოკალის პედაგოგი და პროდიუსერი, ბათუ დოლბაია. ვიდეორგოლი გადაღებულია ქალაქის ახალ სპორტულ არენაზე, სადაც კიდევ მრავალი აქტივობები გაიმართება.

6).**28.04.2023წ** კიდევ ერთი შთამბეჭდავი და დაუვიწყარი საღამოს მასპინძელი იყო, ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი. საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,ქველმოქმედი 2015"-ის ორგანიზებით, ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, სლოგანით ,,ჩვენ - გიგა კუჭავას დასახმარებლად". საინტერესო ის იყო ამ ღონისძიებაზე, რომ სუფევდა ჰუმანური და ხელოვნებასთან წილნაყარი ატმოსფერო. სასწავლებლის წარმატებული მოსწავლის, ანრი რუსიძის (პედაგოგ მანანა მამალაძის კლასი) მიერ ფორტეპიანოზე უნაკლოდ შესრულებულმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნმა, იმთავითვე შექმნა შეკრებილ საზოგადოებაში ამაღლებული განწყობა. საქველმოქმედო კონცერტს უძღვებოდა სასწავლებლის დირექტორი, ქალბატონი შუშანა (ლია) ეჯიბია, რომელმაც არაერთხელ გაუსვა ხაზი თავის სიტყვაში, რომ ქველმოქმედება უსაზღვროა, რომ ბედნიერებაა, როდესაც ამ ღვთიურ საქმეში მომავალი ხელოვანებიც მონაწილეობენ. ჩვეული შემოქმედებითი უნარით წარსდგნენ შეკრებილთა წინაშე საესტრადოს, ხალხურ საკრავთა, კლასიკური ბალეტის ნიჭიერი შეგირდები. ეს იყო ერთი კარგი, მორიგი არტაქტივობა სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში შემდგარი და ქველმოქმედების მადლით მოსილი.

7).**29.04.2023წ** პანდემიურ შეზღუდვებისგან გამოწვეული სირთულეების შემდეგ, აქტიურ შემოქმედებით ამპლუას დაუბრუნდა ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლი **,,როკვა"** (ხელმძღვანელი ედიშერ ალექსანდრია, ქორეოგრაფი - ალექსანდრე ალექსანდრია). ,,როკვას" ახალი გასვლითი არტტურნე შედგა **ქალაქ მცხეთაში.** მცხეთის კულტურის ცენტრში გამართულ ფესტივალ-კონცერტზე ***,,ნიჭიერი თაობა"***ჩვენმა მოცეკვავე გოგონებმა და ბიჭებმა დამსახურებულად **მოიპოვეს ლაურეატის წოდება, საპატიო თასი და დიპლომები**. მათ მიერ მცხეთის კულტურის ცენტრის სცენაზე უნაკლოდ შესრულებულმა ეროვნულმა ცეკვებმა - ,,მთიელ ვაჟთა როკვა", ,,მთიელ ქალთა როკვა" და ,,ეგარი", კონკურს-ფესტივალის ჟიურისა და დამსწრე საზოგადოების მოწონება და აღიარება დაიმსახურა. ვულოცავთ ,,როკვას" მთლიან შემადგენლობასა და ქორეოგრაფებს ახალ წარმატებას.

8).**07.05.2023წ** მორიგ შემოქმედებით წარმატებას მიაღწია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის კლასიკური ცეკვისა და ბალეტის განყოფილებამ. განყოფილების ხელმძღვანელი და პედაგოგი ირინა კუპრავა და სასწავლებლის მოცეკვავე გოგონები, კვირას, 7 მაისს, მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ ***ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური*** და ***მსოფლიო ხალხთა ცეკვის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალში*** - **,,ბროლის ცერი"**. ფესტივალის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი. ამ მნიშვნელოვან არტ-ასპარეზობაზე ჩინებულად გამოვიდნენ ფოთელი ნორჩი ბალერინები, რომელმაც უნაკლოდ და მიმზიდველად შეასრულეს 5 საფესტივალო ნომერი. ფოთელ გოგონებსა და მათ ხელმძღვანელს ირინა კუპრავას აქტიური

მონაწილეობისა და საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის, ჟიურიმ **ლაურეატის წოდება მიანიჭა და დიპლომები,** ასევე, **,,ბროლის ცერის" მონაწილის საპატიო ემბლემა** გადასცა. მაღალი პროფესიული ოსტატობისა და წარმატებული შემოქმედებითი მუშაობისათვის შემოქმედთა კავშირის ***საპატიო სიგელი*** გადაეცა პედაგოგ ირინა კუპრავას. მასზე ჟიურის წევრმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა დავით გუამ (ბაძაღუა) ნიშნად წარმატებისა და მაღალი პროფესიონალიზმისა, საკუთარი ნახატი უსახსოვრა.

9).**<u>08.05.2023</u>წ** გაზაფხულსა და აპრილ-მაისის ღირსშესანიშნავ დღეებს მიუძღვნეს კონცერტი ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ვოკალური განყოფილების მოსწავლეებმა (პედაგოგ ეთერ სალიას კლასი, კონცერტმაისტერი ნანა ნანავა). სასწავლებლის ნორჩმა ვოკალისტებმა მაღალ დონეზე შეასრულეს ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ვოკალური ნაწარმოებები. საკონცერტო დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ მოწონება გამოხატა ოსტატურად ახმოვანებულ სიმღერასა და მუსიკის ჰანგებზე. სასწავლებლის დირექტორმა ქალბატონმა ლია ეჯიბიამ თავის გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა პედაგოგ ეთერ სალიას თავდაუზოგავ შემოქმედებით მუშაობასა და მოსწავლეებთან ჰარმონიულ ურთიერთობებზე, დასაფასებელია ასევე, კონცერტმაისტერ ნანა ნანავას საქმიანობა მომავალ ვოკალისტებთან. კონცერტის დასასრულს პედაგოგმა ეთერ სალიამ ისაუბრა იმ მნიშვნელოვან თარიღებსა და დღეებზე, რომელიც ქართულ სულიერებასა და ხელოვნებას უფრო საგულისხმოს ხდის, ამიტომ მოსწავლეთა ნამღერიც ორმაგად აღსანიშნავია. პედაგოგმა გზა დაულოცა ვოკალური განყოფილების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეს და ამასთან ერთად, ახალბედაც წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას. ვოკალურმა კონცერტმა სრულყოფილ არტგარემოში ჩაიარა და ერთ ღამაზ აქტივობად იქცა სასწავლებლის სახელოვნებო რეალიაში.

10).**<u>14.05.2023</u>წ** მორიგ შემოქმედებით წარმატებას მიაღწია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლმა **,,როკვამ"** (ხელმძღვანელი ედიშერ ალექსანდრია, ქორეოგრაფი ალექსანდრე ალექსანდრია). სასწავლებლის მოცეკვავენი განახლებული რეპერტუარით წარდგნენ მარტვილის კულტურის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრადიციული ფესტივალის - **,,ჭყონდიდი"** ის ფარგლებში, ღია ცის ქვეშ გამართულ სცენაზე. აღსანიშნავია, რომ ,,როკვას" მიერ შესრულებულმა ცეკვებმა: ,,მთიელ ვაჟთა როკვა", ,,მთიელ ქალთა როკვა" და ,,ეგარი", შეკრებილი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ანსამბლის ყველა მონაწილესა და პედაგოგებს საპატიო თასი და პირველი ხარისხის სიგელები გადაეცათ. ქორეოგრაფიული ფესტივალი ,,ჭყონდიდი - 2023" ქორეოგრაფ გიორგი წივწივაძის ხსოვნას მიეძღვნა.

11).**<u>16.05.2023 წ</u>** მორიგი შემოქმედებითი ბენეფისი შესთავაზა აუდიტორიას ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილებამ და ბავშვთა ფოლკლორულმა ანსაბლმა **„პირიმზემ“** (ხელმძღვანელი პედაგოგი გია გურგენაძე). საანგარიშო კონცერტი, რომელიც სასწავლებლის დარბაზში გაიმართა 45 წუთიანი განახლებული რეპერტუარით და შემადგენლობით წარდგა შეკრებილი საზოგადოების წინაშე. კონცერტის გახსნისას სასწავლებლის დირექტორმა, ქალბატონმა შუშანა (ლია) ეჯიბიამ დაბეჯითებით აღნიშნა განყოფილებისა და „პირიმზეს“ ნაყოფიერი მუშაობა, პედაგოგის გია გურგენაძის თავდაუზოგავი მოღვაწეობა, რაც ინტენსიურად გამოიხატება საქალაქო, რეგიონულ და საერთაშორისო არტაქტივობებში. ყველა წარმოდგენილი ნომერი, ხალხური მელოდია და სიმღერა შესრულდა მაღალპროფესიულ დონეზე. ნორჩმა ფოლკლორისტებმა

დიდი მონდომებით აახმიანეს აზიური გარმონი, ფანდური, ჭიბონი, დუდკი, დოლი, სტვირი და სალამური. კონცერტის მონაწილეებმა სამართლიანად დაიმსახურეს გულწრფელი ოვაცია საზოგადოებისგან. საანგარიშო კონცერტს ესწრებოდნენ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი, ბატონი ზურაბ ტიბუა და უფროსის მოადგილე ნონა სილოგავა. ასევე პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები.

12).**16-18.05.2023** წ ჩატარდა სენაკის ***„ხელოვნების ფესტივალი 2023“,*** ხელოვნების აკადემიის რიგით მე-10 საიუბილეო, სენაკის ***„დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხელოვნების ფესტივალი“***, რომლშიც ლაურეატის წოდება მიიღო საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლე თამარ გურგენაძემ (პედაგოგ შუშანა (ლია) ეჯიბიას კლასი), რომლის ჟიურის თავმჯდომარე იყო ხელოვნების აკადემიის პროფესორი, გამოჩენილი მუსიკოსი, ვალერიან შიუკაშვილი.

13).**25.05.2023წ** საქართველოს დამოუკიდებლობის 105 წლის იუბილეს მიუძღვნეს საკუთარი საანგარიშო კონცერტი ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგ დარეჯან (მანანა) მამალაძის კლასის მოსწავლეებმა, რომელიც 25 მაისს სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. თითოეულ შესრულებულ ნაწარმოებში იგრძნობოდა პედაგოგის დაუღალავი შემოქმედებითი შრომა და ნორჩ პიანისტთა დიდი მონდომება, რომელიც პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. სადღესასწაულო აქტივობა დაამშვენა საქართველოს ეროვნულმა ჰიმნმა პედაგოგისა და მისი შეგირდების შესრულებით.

14).**26.05.2023 წ** საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის 105 წლის იუბილეს მიეძღვნა ჩვენს ქალაქში გამართული მასშტაბური არტაქტივობანი, რომელშიც ფოთის საზოგადოების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ხელოვნების სფეროს თითქმის ყველა წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქალაქის ცენტრში საგანგებოდ მოწყობილი სცენა დაეთმო სახელოვნებო ჯგუფებსა და ანსამბლებს, თითოეული გამოსვლა იყო მაღალპროფესიული დონისა და ამაღლებული, საზეიმო განწყობილების. საგულისხმოა, რომ საზეიმო კონცერტის გახსნის პრიორიტეტი კიდევ ერთხელ ერგო წილად ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილების ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „*პირიმზეს*" (ხელმძღვანელი, პედაგოგი გია გურგენაძე), რომელმაც დასაწყისშივე შეიტანა კონცერტის ეროვნული სულისკვეთება და პათოსი, შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა მელოდიებმა და ჰანგებმა დამსწრე საზოგადოებისთვის აშკარა პოზიტიური ატმოსფერო შექმნა.

15).**28.05.2023წ** კვირას, ბათუმის სახელოვნებო ცენტრის საკონცერტო დარბაზში, საქართველოს კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის კავშირისა და ტურისტული სააგენტო **„გოლდენ გრუფ თრეველის"** ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი, სახელწოდებით - ***„ოქროს ტალღა".*** შემოქმედებით ასპარეზობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებას მიაღწია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილების ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ***„პირიმზემ"*** (ხელმძღვანელი, პედაგოგი გია გურგენაძე). შესრულებულ ხალხურ მელოდიათა ფონზე და ოვაციების თანხლებით, ანსამბლსა და მის ხელმძღვანელს მიენიჭა **„გრან-პრი"**, ლაურეატობა. **„პირიმზეს"** ყველა წევრს გადაეცა ფესტივალის გამარჯვებულის საპატიო სიგელი.

16).**30.05.2023 წ** პოეზიის ფოთელ მოყვარულებს მეტად შთამბეჭდავი ლიტერატურული საღამო ჰქონდათ ქალაქის საბიბლიოთეკო გაერტიანების დარბაზში 30 მაისს. ჩვენს ქალაქს სტუმრად ეწვია პოეტი ქალბატონი ქეთევან შენგელია, რომლის ლექსებმა, როგორც პატრიოტულმა, ასევე ლირიკულმა, დიდი მოწონება და ემოციური შთაგონება დაიმსახურა შეკრებილ საზოგადოებაში. ლიტერატურულ აქტივობაში საკუთარი წვლილი შეიტანეს ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. კერძოდ, საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლემ ილია მამალაძემ (პედაგოგ ნანი მიმინოშვილის კლასი) და სავიოლინო განყოფილების ნორჩმა შემსრულებლებმა (პედაგოგ ელენე ბარქაიას კლასი). სასწავლებლის დირექტორმა ქალბატონმა შუშანა (ლია) ეჯიბიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ასეთ ლამაზ და მიმზიდველ საღამოში ჩვენმა წარმომადგენლებმა რომ მიიღეს აქტიური მონაწილეობა, ორმაგად სასიხარულო და შემოქმედებითი მოტივაციის წყაროა. ,,მადლობა ქალბატონებს ნანი მიმინოშვილსა და ელენა ბარქაიას დაუზარელი მუშაობისათვის" - დასძინა შუშანა (ლია) ეჯიბიამ. ლიტერატურულ საღამოს, რომელიც ერთ-ერთ დასამახსოვრებელ აქტივობად უნდა მივიჩნიოთ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლექსო თოდუა, მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა, ამავე სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკები, ფოთის განათლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

17).**28.05.2023წ** საშემსრულებლო და შემოქმედებითი აქტივობების სრულ ფაზაში შევიდა ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლი ***,,როკვა"*** (ქორეოგრაფები ედიშერ ალექსანდრია, ალექსანდრე ალექსანდრია). ამჯერად ,,როკვა" მეტად პრესტიჟულ და წარმომადგენლობით არტაქტივობაში მონაწილეობდა. 28 მაისს თბილისის არტ-ჰოლში გაიმართა ცნობილი ქართველი მოცეკვავის, სუხიშვილთა **,,ოქროს თაობის"** ღირსეული წარმომადგენლის თენგის უთმელიძის 85 წლის იუბილის აღსანიშნავი საჩვენებელი კონცერტი. ღონისძიება გახსნეს სუხიშვილების აკადემიისა და ანსამბლ ,,ერისიონის" აკადემიის ბავშვთა ანსამბლებმა. საკუთარი შემოქმედება წარმატებითა და დიდი მოტივაციით აჩვენა ჩვენმა ანსამბლმა ,,როკვამ", რომელმაც ტოლი არ დაუდო დედაქალაქელ თანატოლებს. აღსანიშნავია, რომ ,,როკვა" მხოლოდ ერთი ანსამბლი იყო რეგიონებიდან და თავი არც შეურცხვენია. ,,მთიელ ვაჟთა როკვამ" და ,,მთიელ ქალთა როკვამ" თავისი მახვილი კვალი დაატყო გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის საიუბილეო საღამოს. ,,როკვას ჰქონდა პატივი კონცერტის ფინალისა, რამაც შესაბამისი დაფასება და ოფიციალური საპატიო სიგელები დაიმსახურა.

18).**02.06.2023წ** ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის პოზიტიური ნოვაციაა სავიოლინო განყოფილების ფუნქციონირება, რომელიც მკვეთრად უსვამს ხაზს შემოქმედებით მრავალფეროვნებას. მეორე წელია განყოფილების ნორჩი მევიოლინეები პედაგოგ ელენა ბარქაიას ხელმძღვანელობით მონდომებით და მოტივაციით ეუფლებიან კლასიკური მუსიკის ამ მიმართულებას.
2 ივნისს, სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე, საანგარიშო კონცერტით წარდგნენ სავიოლინო განყოფილების მოსწავლეები, რომლებმაც აკადემიურ დონეზე შეასრულეს ნაწარმოებები მსოფლიო კლასიკიდან. თორმეტივე შესრულებულ ნომერში აშკარად გამოიხატებოდა მოსწავლეთა დიდი

ინტერესი და მისწრაფება, რაც პედაგოგ ელენა ბარქაიას ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია.

სავიოლინო მუსიკის კონცერტმა მსმენელთა და ხელოვნების მოყვარულთა გულითადი აპლოდისმენტები და მოწონება დაიმსახურა.

19).**12.06.2023წ** კიდევ ერთი არტაქტივობის მონაწილენი გახდნენ ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები. ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სახელოვნებო სასწავლებლის განახლებულ ისტორიულ-არქიტექტურულ სივრცეში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო ფესტივალი ***„პალიტრა ფოთი 2023"***. საზეიმო გახსნის კრეატივში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს სასწავლებლის ***სავიოლინო განყოფილების მოსწავლეებმა*** (პედაგოგ ელენა ბარქაიას კლასი) სასწავლებლის დირექტორის შუშანა (ლია) ეჯიბიას ხელმძღვანელობით. ნორჩ მევიოლინეთა გამოსვლას საფორტეპიანო აკომპანირებას უწევდა პედაგოგი რუსუდან ბებია.

20).**15.06.2023წ** ტრადიციისამებრ, ამაღლებული განწყობილება იყო ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში, სადაც სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებული დასკვნითი კონცერტი გაიმართა. საკონცერტო პროგრამის მიხედვით, სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ საფორტეპიანო, სავიოლინო, კლასიკური ბალეტის, თანამედროვე ცეკვებისა და ,,ჰიპ-ჰოპის", ვოკალური განყოფილებების მოსწავლეები. კონცერტზე სულ შესრულდა 40-მდე ნომერი, რომლებიც მრავალფეროვნებითა და ჟანრობრივი ეფექტურობით გამოირჩეოდა, რაც ყველაზე საგულისხმოა, თითოეულ გამოსვლაში გამოკვეთილად ჩანდა მოსწავლეთა მოტივაცია და პედაგოგთა დაუზარელი შემოქმედებითი შრომა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის ყველა არტაქტივობა, ადგილობრივი, საქალაქო თუ სხვა მასშტაბის, გამოირჩევა ცოცხალი შესრულებით, ასევე იყო დასკვნით კონცერტზეც. დარბაზში შეკრებილი დამსწრე საზოგადოება აპლოდისმენტებით გამოხატავდა მოწონებას ყველა გამომსვლელისადმი. კონცერტს უძღვებოდა სასწავლებლის დირექტორი შუშანა (ლია) ეჯიბია, რომელმაც მადლობა გადაუხადა პედაგოგებსა და მოსწავლეებს ნაყოფიერი სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობისათვის. დასასრულს, სასწავლებლის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ საქართველოს ხელოვნების აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულნი არიან სასწავლებლის ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომელთაც აღნიშნული სიგელები უახლოეს მომავალში გადაეცემათ. 15 ივნისის დასკვნით კონცერტს ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი გვანცა მხეიძე.

სასწავლებლის დირექცია მადლიერებას გამოთქვამს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელობისადმი, მიღწეულ წარმატებებში თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

21).**20.06.2023 წ** სასწავლო წლის ფინიშზე კიდევ ერთ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა

განყოფილების ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა **,,პირიმზემ"** (ხელმძღვანელი, პედაგოგი გია გურგენაძე). ქობულეთის საზაფხულო საკონცერტო დარბაზში, სადაც საქართველოს ეროვნული ფილარმონიის სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფილიალის ორგანიზებით საერთაშორისო ფესტივალი ,,***ჰარირა"*** გაიმართა, პირველი საფესტივალო სცენაზე სწორედ **,,პირიმზე"** გამოვიდა და პირველობაც არავის დაუთმო. ფოთელმა ნორჩმა ფოლკლორისტებმა აკადემიურ დონეზე და მაღალი საშემსრულებლო მოტივაციით აახმიანეს კომპოზიციები და მელოდიები ქართული ხალხური სიმღერის საუნჯიდან. სულ შესრულდა ოთხი ნომერი. ,,პირიმზეს" 26 მონაწილესა და მათ ხელმძღვანელს, ჩინებული გამოსვლისათვის, ჟიურის მიერ გადაეცათ მთავარი პრიზი **,,ოქროს არწივი"** და ოქროს მედლები. წლის შემოქმედებით მონაგარს, მიმდინარე ზაფხულს კვლავაც გაამდიდრებს ,,პირიმზე" და მდიდარ სახელოვნებო ტრადიციას დაუბრკოლებლად გააგრძელებს, რაც, ცხადია, პედაგოგ გია გურგენაძის თავდაუზოგავი შემოქმედებითი გარჯის ნაყოფია.

22).**<u>24-25.06.2023წ</u>** ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების ბავშვთა ქართული ცევის ანსამბლი ,,როკვა" ძალის მოკრების შემდეგ სრულ საშემსრულებლო ფორმაშია, რასაც ბოლო პერიოდში რეგიონალურ აქტივობებზე-ქორეოგრაფიულ ფესტივალებზე მიღწეული გამარჯვებებით დასტურდება. მცხეთის, თბილისისა და მარტვილის შემდეგ, **,,როკვა"** ოზურგეთს ეწვია, სადაც 24-25 ივნისს ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის, სუხიშვილების **,,ოქროს თაობის"** წარმომადგენლის, ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქორეოგრაფიული ფესტივალი, სახელწოდებით ,,***ავტოგრაფი"*** ჩატარდა. ოზურგეთის ცენტრალური პარკის ,,ჭადრების" ღია სცენაზე, ფოთელმა მოცეკვავე გოგონებმა და ვაჟებმა, ჩინებულად შეასრულეს სადებიუტო ახალი დადგმა, ცეკვა ***,,განდგანა"*** და უკვე აკადემიურად ათვისებული ***,,მთიელ ვაჟთა როკვა"***, რაც, უდაოდ, ქორეოგრაფისა და ანსამბლის ხელმძღვანელის ედიშერ ალექსანდრიას დაუღალავი შრომის შედეგია. ,,როკვას" და მის წევრებს, ოზურგეთის ქორეოგრაფიულ ფესტივალზე, წარმატებული გამოსვლისათვის **პირველი ხარისხის დიპლომები** გადაეცა. აღნიშნული არტაქტივობა თავისი შედეგით, ანსანბლის სამომავლო შემოქმედებითი მოტივაციაა.

23).**<u>28.06.2023 წ</u>** კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა ქობულეთიდან. ქობულეთის საზაფხულო საკონცერტო დარბაზის ღია სცენაზე დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლმა ***,,როკვამ"*** (ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი ედიშერ ალექსანდრია). ჩვენმა ნორჩმა ფოლკლორისტ-მოცეკვავეებმა სრული შემოქმედებითი და საშემსრულებლო ოსტატობა აჩვენეს შეკრებილი საზოგადოების წინაშე. უნიკალურად შესრულებულმა ,,***განდაგანამ***' და ***,,მთიელ ვაჟთა როკვამ"***, ყველა საფესტივალო კრეატიული კრიტერიუმი დააკმაყოფილა და ჟიურისგან სამართლიანად **მოიპოვა** ფესტივალის **,,გრან-პრი"**. შემოქმედებითი ასპარეზობის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს ეროვნული ფილარმონიის სამეგრელო-ზემო სვანეთის ფილიალი. ვულოცავთ ,,როკვას" ყველა წევრსა და მათ დაუღალავ დამფრთიანებელს ედიშერ ალექსანდრიას წარმატებას, აშკარა და შთამბეჭდავ წინსვლას. ფოთელებს შეუძლიათ თამამად თქვან, რომ ,,როკვა" მართლაც, ძლიერი გუნდია.

24). **<u>02.07.2023წ</u>** ტრიუმფალურ შემოქმედებით ზაფხულს აგრძელებს ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლი ,,როკვა" (ხელმძღვანელი ედიშერ ალექსანდრია, ქორეოგრაფი ალექსანდრე ალექსანდრია). ბათუმის ოპერის თეატრში გამართულ **თენგიზ სუხიშვილის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ბავშვთა**

ქორეოგრაფიულ კონკურსზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინებულად გამოვიდნენ ჩვენი მოცეკვავეები, რომლებმაც არც ამჯერად დაუდეს ტოლი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილ ძლიერ და რეპუტაციის მქონე ანსამბლებს, მაღალი ოსტატობითა და აღმაფრენით შეასრულეს ***„მთიელ ვაჟთა როკვა"*** და ***„განდაგანა"***, რომელმაც კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი და პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურა. საყურადღებოა, რომ ჟიურის შემადგენლობაში, ქართული ეროვნული ბალეტის-,,სუხიშვილების" მოქმედი და ვეტერანი შემსრულებლები იყვნენ. მართლაც შთამბეჭდავია და გასახარი ფოთელი ნორჩი მოცეკვავეების წარმატებული ასპარეზობანი საკონკურსო სცენებზე. ,,როკვამ" უკვე შექმნა თავისი სახელხმიანი ისტორია და ტრადიცია, რაც კრეატიული აქტივობებით დღითი-დღე მდიდრდება და ხალასი ხდება.

25).**08.07.2023 წ** კიდევ ერთხელ ჩინებულად შესრულებული ,,განდაგანა" და ,,მთიელ ვაჟთა როკვა", კიდევ ერთხელ მოპოვებული აღიარება და წარმატება, - ასეთია ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ქართული ცეკვების ანსამბლ ,,როკვას" საზაფხულო აკორდი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარებულ **კოლხურ-ლაზური სიმღერისა და ცეკვის ფესტივალზე,** რომელიც ფოთში გაიმართა, წარმატებული გამოსვლა ჰქონდა ანსამბლ **,,როკვას**". სხვა ძლიერ და პრესტიჟულ ანსამბლებთან შემოქმედებთ ასპარეზობაში სასწავლებლის მოცეკვავეებმა ჩვეული ოსტატობა აჩვენეს, რისთვისაც კონკურს-ფესტივალის **ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.** გამარჯვებულის საპატიო დიპლომს, რომელიც ანსამბლ ,,როკვასა" და მის ქორეოგრაფებს ედიშერ და ალექსანდრე ალექსანდრიებს გადაეცათ, ხელს აწერენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი - ბექა ვაჭარაძე და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა. ასე, რომ ,,როკვა", ტრადიციული და შთაგონებული როკვით, ახალი სიმაღლეებისაკენ მიემართება. წარმატებები მას.

26).**11.07.2023წ** მორიგი წარმატებით აღნიშნეს სასწავლო წლის ფინიში ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის თანამედროვე ცეკვების ,,ჰიპ-ჰოპის" განყოფილების (პედაგოგები ნინო დოლიძე, კაკო კაკულია) მოსწავლეებმა. ბათუმის ღია ჩემპიონატზე, სახეობაში - ***„ჩერლიდინგი"***, ოსტატური გამოსვლისათვის **პირველი ხარისხის მედლები**თ და დიპლომებით დაჯილდოვდნენ დებიუტანტი მოცეკვავეები ***მარიამ კინტირაია*** და ***ანასტასია დარსაძე.*** ასაკობრივ ჯგუფებში **თასის მფლობელები** გახდნენ: ***მარიამ კვირკვაია, მარიამ პარკაია, ლიკა ტაბატაძე, ბარბარე მანგაძე, ქრისტინა ლორთქიფანიძე, ანასტასია კარაპიშენკო, ელენე თოფურია, ბარბარე სურმავა, ლიზი გერგაია, ანა გოგოხია, ელენე გვასალია, სესილი მიქიაშვილი, თეკლა მინჯორაია, გვანცა ვაშაკიძე.***

27**).14.07.2023** წ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სასწავლებლის ღია სივრცეში საზეიმოდ გაიხსნა ფოტოხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ***„შავი ზღვა 2023".*** საზეიმო კონცერტი გახსნა ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილების ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ***„პირიმზემ***" (ხელმძღვანელი, პედაგოგი გია გურგენაძე). პირიმზის წევრებმა ჩინებულად შეასრულეს სამი ნომერი ქართული ხალხური მელოდიებიდან და სიმღერებიდან, რამაც მონაწილეთა მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლექსო თოდუა, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა, ქალაქის ხელოვნების სფეროს მესვეურნი და მოწვეული სტუმრები.

28). **16.09.2023 წ** ქალაქ ფოთში, ნიკო ნიკოლაძის ქალაქში, ნიკო ნიკოლაძის 180 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება, ,,კლასიკური მუსიკის კონცერტი", ჩატარდა ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სასწავლებლის მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი, ქალაქის ხელოვნების სფეროს მესვეურნი და მოწვეული სტუმრები.

29). **03.10.2023წ.** ქალაქ ბათუმში გაიმართა ***,,შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი***", რომელიც ყოველწლიურად ტარდება ქართველი პიანისტის ელისო ბოლქვაძის პატრონაჟით. ფესტივალზე მიწვეული იყო ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,**პირიმზე**", გია გურგენაძის ხელმძღვანელობით. ისინი წარმატებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და საპატიო სიგელიც დაიმსახურეს.

30). **13.10.2023წ** , ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა **,,ჯაზ ბიგ-ბენდის"**ღია კარის დღე და მასტერკლასი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, ა.ხორავას სახელობის სასწავლებლის ***სორკესტრო*** განყოფილების მოსწავლეებმა ქალაქ ბათუმის სახელოვნებო სკოლის საესტრადო ბენდთან ერთად ბატონ კალისტრატე ცინცაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

31). **11-12.11.2023წ** , ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა **ჯორჯ ბალანჩინის სახელობის მე-4 საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი.** პრიზი ,,საუკეთესო შესრულება" გადაეცა ა.ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საბალეტო დასს, ირინა კუპრავას ხელმძღვანელობით. ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.

32). **21.12.2023წ** სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა სასწავლებლის ისტორიისადმი მიძღვნილი კონცერტი პედაგოგთა მონაწილეობით.

33). **21.12.2023 წ** ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს ჩერლიდინგის ჩემპიონატი მასში მონაწილეობას ღებულობდა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩერლიდერები და თანამედროვე ცეკვის მოცეკვავეები. ბუუმმა წამოიღო 5 თასი და არაერთი საპრიზო ადგილი

სასწავლებლის დირექტორი ტარიელ ალექსანდრია